აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების როლი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე

თათულიშვილი სალომე
სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.31

აბსტრაქტი: *წინამდებარე ნაშრომის მიზანია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების გავლენის შეფასება სწავლების ხარისხზე უმაღლესი განათლების კონტექსტში. კვლევა განხორციელდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე და ეყრდნობა რაოდენობრივ კვლევით მიდგომას.პირველადი ინფორმაციის შეგროვება განხორციელდა წინასწარ შედგენილი, სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით, რომელიც განთავსებული იყო უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმაზე (ea.tesau.edu.ge). შერჩევით ერთობლიობას წარმოადგენდა 81 რესპონდენტი, მათ შორის როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი. კვლევის ჩატარების პერიოდში უნივერსიტეტში დასაქმებული იყო 145 თანამშრომელი, შესაბამისად შერჩევის პროცედურამ მოიცვა პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რამაც უზრუნველყო მიღებული შედეგების სანდოობა და მათი ინსტიტუციურ დონეზე განზოგადების შესაძლებლობა. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა სიხშირისეული ანალიზის მეთოდით.კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობა აქტიურად არის ჩართული პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობაში და პროფესიულ განვითარებას აფასებს, როგორც სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან ფაქტორს. განსაკუთრებით დადებითად ფასდება პროფესიული განვითარების გავლენა სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესებასა და სტუდენტთა ჩართულობის ზრდაზე. ამასთანავე, კვლევამ გამოავლინა პროფესიული განვითარების პროცესში არსებული სირთულეები, რომელთა შორის ყველაზე ხშირად დასახელდა დროის ნაკლებობა, მოტივაციის შემცირება და შეზღუდული რესურსები.*

კვლევის შედეგების საფუძველზე დასკვნად შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული განვითარება წარმოადგენს სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ეფექტიან მექანიზმს, თუმცა მისი პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია ინსტიტუციური მხარდაჭერის კიდევ უფრო მეტად გაძლიერება.

საკვანძო სიტყვები: *პროფესიული განვითარება; აკადემიური პერსონალი; სწავლების ხარისხი; უმაღლესი განათლება; სტუდენტთა ჩართულობა*

შესავალი

თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება აკადემიურ პერსონალს, რომლის პროფესიული კომპეტენციები, პედაგოგიური მიდგომები და მუდმივი განახლების მზაობა

პირდაპირ აისახება სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე. სწორედ ამიტომ, აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება განიხილება, როგორც სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი.

უწყვეტი პროფესიული განვითარების კონცეფცია ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ პროფესიული სწავლება არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური განათლებით. Knowles (1984) ზრდასრულთა სწავლების თეორიაში ხაზს უსვამს, რომ ზრდასრულები სწავლობენ საკუთარი გამოცდილების, თვითრეფლექსიისა და პრაქტიკული საჭიროებების გათვალისწინებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის შემთხვევაში. შესაბამისად, პროფესიული განვითარება უნდა იყოს მოქნილი, უწყვეტი და უნდა ერგებოდეს რეალურ საგანმანათლებლო გამოწვევებს.

საერთაშორისო კვლევები მიუთითებს, რომ აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ისეთი აქტივობები, როგორიცაა პედაგოგიური ტრენინგები, სწავლების ინოვაციური მეთოდები, კვლევითი კომპეტენციების გაძლიერება და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართულობა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლების ხარისხის ამაღლებას (Guskey, 2002). აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს ლექტორების პედაგოგიური პრაქტიკის გააზრებას, რაც საბოლოოდ აისახება სტუდენტთა სწავლის შედეგებსა და აკადემიურ მოტივაციაზე.

OECD-ისა და UNESCO-ს მიერ მომზადებულ ანგარიშებში ხაზგასმულია, რომ უნივერსიტეტებში პროფესიული განვითარების ეფექტიანი სისტემის არსებობა დაკავშირებულია, როგორც ინდივიდუალურ პროფესიულ ზრდასთან ასევე ხარისხის უზრუნველყოფასთანაც. აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით კი განიხილება, როგორც განათლების ხარისხის სისტემური გაუმჯობესების საფუძველი,რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

არ შეიძლება აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება ერთი კონკრეტული მიმართულებით განვიხილოთ. ის წარმოადგენს მრავალმხრივ პროცესს, რომელიც მოიცავს როგორც პედაგოგიურ და კვლევით, ისე ტექნოლოგიურ კომპეტენციებს. აღნიშნული პროცესის ეფექტიანობა მეტწილად დამოკიდებულია ინსტიტუციურ პოლიტიკაზე, არსებულ რესურსებზე და რა თქმა უნდა თავად აკადემიური პერსონალის მოტივაციაზე. სწორედ ამ კონტექსტში ხდება მნიშვნელოვანი კონკრეტული უნივერსიტეტების მიერ ჩატარებული კვლევები, რომლებიც საშუალებას იძლევა შეფასდეს პროფესიული განვითარების რეალური გავლენა სწავლების ხარისხზე.

მსჯელობა

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გავლენის შეფასება სწავლების ხარისხზე უმაღლესი განათლების კონტექსტში იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომლის საშუალებითაც გავანალიზეთ კვლევის მონაწილეთა მიდგომები და შეფასებები რაოდენობრივ ჭრილში.

კვლევა განხორციელდა წინასწარ შედგენილი, სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. მეტი მოქნილობისთვის კითხვარი შედგებოდა მეტწილად დახურული და ნახევრად დახურული, შედარებით ნაკლებად კი ღია ტიპის შეკითხვებისაგან. შერჩევით ერთობლიობას წარმოადგენდა 81 რესპოდენტი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო, როგორც აკადემიურმა ისე მოწვეულმა პერსონალმა. თუ გავითვალისწინებთ,

რომ კვლების ჩატარების პერიოდში უნივერსიტეტში დასაქმებული იყო 154 პერსონალი, ვნახავთ რომ შერჩევამ მოიცვა გენერალური ერთობლიობის მნიშვნელოვანი ნაწილი. რეპრეზენტატულმა შერჩევამ კი თავის მხრივ განაპირობა მიღებული შედეგების სანდოობა და და ინსტიტუციურ დონეზე განზოგადება.

რესპონდენტები წარმოდგენილნი იყვნენ სხვადასხვა ფაკულტეტისა და აკადემიური თანამდებობის მიხედვით, რამაც მოგვცა საშუალება შეგვეფასებინა პროფესიული განვითარების პროცესის მრავალმხრივი გავლენა. კვლევაში მონაწილე აკადემიური პერსონალი მოიცავდა პროფესორებს,ასოცირებულ პროფესორებს, ასისტენტ პროფესორებსა და მოწვეულ ლექტორებს.

კვლევის ინსტრუმენტი მიზნად ისახავდა შემდეგი საკითხების გამოვლენასა და გაზომვას:

- აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარების აქტივობებში მონაწილეობის სიხშირე;
- პროფესიული განვითარების ძირითადი ფორმები და მიმართულებები;
- პროფესიული განვითარების გავლენა სასწავლო პროცესზე;
- სტუდენტთა ჩართულობის ცვლილება პროფესიული განვითარების შემდეგ;
- პროფესიული განვითარების პროცესში არსებული სირთულეები და სამომავლო საჭიროებები.

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა სიხშირისეული ანალიზის მეთოდით. მიღებული პასუხები დამუშავდა რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით და წარმოდგენილ იქნა სიხშირისეული განაწილებით. აღნიშნული მიდგომა შეირჩა კვლევის მიზნებიდან და შერჩევის მოცულობიდან გამომდინარე და ფართოდ გამოიყენება საგანმანათლებლო კვლევებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყურადღება გამახვილებულია ტენდენციებისა და საერთო შეფასებების გამოვლენაზე.

კვლევის მიმდინარეობისას დაცული იყო რაოდენობრივ კვლევასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები. მონაწილეებს წინასწარ ეცნობათ კვლევის მიზანი და შედეგების გამოყენების შესახებ ინფორმაცია, რის შედეგადაც მათგან მივიღეთ ნებაყოფლობითი ინფორმირებული თანხმობა, რაც დამატებით ზრდის მიღებული მონაცემების სანდოობას. პირველადი ინფორმაციის შეგროვებლად გამოვიყენეთ ელექტრონული

პლატფორმა: ea.tesau.edu.ge, რომელმაც უზრუნველყო მონაცემების სწრაფი და ორგანიზებული მიღება.

კვლევის მონაწილეთა ზოგადი მახასიათებლები

წინამდებარე კვლევა განხორციელდა უნივერსიტეტში დასაქმებული **აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილებით**. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო **81-მა პირმა**, რაც უზრუნველყოფს კვლევის შედეგების მაღალ სანდოობას და გამორიცხავს შერჩევით შეცდომას.

კვლევაში მონაწილეობდნენ განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის, აგრეთვე აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტების წარმომადგენლები. მონაწილეთა ყველაზე დიდი ნაწილი წარმოდგენილი იყო განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან, რასაც მოჰყვებოდა

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი, ხოლო შედარებით მცირე რაოდენობა წარმოადგენდა აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტს. აღნიშნული განაწილება მიუთითებს კვლევის მრავალდისციპლინურ ხასიათზე, რაც მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარების გავლენის შეფასებისას. თანამდებობრივი სტატუსის მიხედვით რესპონდენტები წარმოდგენილნი იყვნენ როგორც აკადემიური პერსონალის, ისე მოწვეული ლექტორების კატეგორიებში. კვლევაში მონაწილეობდნენ პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ პროფესორები და მოწვეული ლექტორები:



მონაწილეთა ასეთი სტრუქტურა ქმნის საფუძველს პროფესიული განვითარების პროცესის გავლენის შეფასებისთვის სხვადასხვა აკადემიური როლისა და პასუხისმგებლობის კონტექსტში, რაც ზრდის კვლევის როგორც ანალიტიკურ, ისე პრაქტიკულ ღირებულებას.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი აქტიურად არის ჩართული პროფესიული განვითარების პროცესში. გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების თანახმად, რესპონდენტთა უმრავლესობა პროფესიული განვითარების ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობს რეგულარულად, ანუ წელიწადში რამდენჯერმე, რაც მიუთითებს პროფესიული ზრდისადმი მაღალი ინტერესისა და მოტივაციის არსებობაზე. რესპოდენტთა შედარებით მცირე რაოდენობა აღნიშნავს, რომ მსგავს აქტივობებში მონაწილეობს წელიწადში ერთხელ ან იშვიათად, ხოლო უმნიშვნელო ნაწილი საერთოდ არ არის ჩართული პროფესიული განვითარების ღონისძიებებში:



აღნიშნული მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პროფესიული განვითარება უნივერსიტეტში აღიქმება, როგორც აკადემიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილი. რეგულარული ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იგი ქმნის შესაძლებლობას აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დროულად უპასუხოს სწავლების თანამედროვე გამოწვევებს და განაახლოს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება.

პროფესიული განვითარების აქტივობების ტიპების ანალიზი აჩვენებს, რომ ყველაზე პოპულარული ფორმა წარმოადგენს სასწავლო ტრენინგებს სწავლების ინოვაციურ მეთოდებზე. აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობის მაღალი სიხშირე მიუთითებს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სწავლების პროცესის მოდერნიზაციასა და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვა/განვითრებას. შედარებით ნაკლები ჩართულობა ფიქსირდება კვლევით-ანალიტიკურ სემინარებსა და საერთაშორისო პროექტებში, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს დროისა და რესურსების შეზღუდულობასთან. ამასთანავე, კვლევის შედეგები მიუთითებს შიდა ინსტიტუციური შეხვედრებისა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე. რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ მსგავსი ფორმატის აქტივობები ხელს უწყობს კოლეგიალურ სწავლას და პრაქტიკული გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, რაც პროფესიული განვითარების არაფორმალურ, მაგრამ ეფექტიან მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს:



როგორც ვხედავთ, კვლევის შედეგად პროფესიულ განვითარებაში ჩართულობის სიხშირე და აქტივობების მრავალფეროვნება ფიქსირდება. თუმცა უნდა აღინიშნოს, მონაცემები ასევე აჩვენებს საჭიროებას, კიდევ უფრო გაძლიერდეს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა კვლევითი საქმიანობა და საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობა, რაც შემდგომში დადებითად აისახება როგორც სწავლების ხარისხზე, ისე ინსტიტუციურ განვითარებაზე.

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროფესიული განვითარების გავლენის შეფასება საკუთარი სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. კვლევის თანახმად რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა პროფესიულ განვითარებას აფასებს, როგორც სწავლების პროცესზე დადებითად მოქმედ ფაქტორს. გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ პროფესიული განვითარების აქტივობები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათ სასწავლო პრაქტიკას, ხოლო რესპონდენტთა ნაწილმა გავლენა შეაფასა, როგორც ძალიან მაღალი. შედარებით მცირე რაოდენობა მიუთითებს, რომ პროფესიული განვითარება მხოლოდ გარკვეულწილად ახდენს გავლენას, ხოლო უარყოფითი შეფასებები პრაქტიკულად არ ფიქსირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განვითარების პროცესში მიღებული ცოდნა და უნარები რეალურად აისახება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიურ საქმიანობაზე. ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობა ხელს უწყობს სწავლების მეთოდების განახლებას, სასწავლო პროცესის უკეთ სტრუქტურირებას და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებას, რაც სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

კვლევის ფარგლებში ასევე შეფასდა პროფესიული განვითარების გავლენა სტუდენტთა ჩართულობაზე სალექციო პროცესში. რესპონდენტთა უმრავლესობა (61 რესპოდენტი) აღნიშნავს, რომ პროფესიული განვითარების შემდეგ სტუდენტთა ჩართულობა იზრდება ან მნიშვნელოვნად იზრდება. მხოლოდ მცირე (15 რესპოდენტი) ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩართულობა ნაწილობრივ იზრდება, ხოლო უარყოფითი შეფასებები თითქმის არ დაფიქსირებულა. აღნიშნული ტენდენცია ადასტურებს, რომ პროფესიული განვითარების შედეგად განახლებული პედაგოგიური მიდგომები პოზიტიურად მოქმედებს სტუდენტთა მოტივაციასა და აქტიურ მონაწილეობაზე სასწავლო პროცესში.

სტუდენტთა ჩართულობის ზრდა შეიძლება განპირობებული იყოს სწავლების ინტერაქტიული მეთოდების დანერგვით, სწავლების პროცესში ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებითა და სწავლების შინაარსის უკეთ ადაპტაციით სტუდენტთა საჭიროებებზე. ამ კონტექსტში პროფესიული განვითარება წარმოადგენს არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ პროფესიულ ზრდას, არამედ სწავლების ხარისხის სისტემურ გაუმჯობესებას.

ზოგადი შეფასებების ანალიზი აჩვენებს, რომ რესპონდენტთა თითქმის სრული უმრავლესობა პროფესიული განვითარების გავლენას სწავლების ხარისხზე უნივერსიტეტში აფასებს დადებითად, ხოლო ნეიტრალური ან ნაკლებად დადებითი შეფასებები უმნიშვნელო რაოდენობით ფიქსირდება.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის შედეგები პროფესიული განვითარების გავლენას სწავლების ხარისხზე უმეტესწილად დადებითად აფასებს, მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი პროფესიული განვითარების პროცესში გარკვეულ სირთულეებს და გამოწვევებსაც აწყდება. იმისათვის, რომ ვიზრუნოთ პროფესიული განვითარების სისტემის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭიროა სირთულეების გამოვლენაც.

კვლევის შედეგების მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რესპონდენტები ასახელებენ დროის ნაკლებობას (50 რესპოდენტი). მონაწილეთა დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ პროფესიული განვითარების აქტივობებში რეგულარული ჩართულობა სირთულეს წარმოადგენს სასწავლო, კვლევითი და ადმინისტრაციული დატვირთვის ფონზე. აღნიშნული გარემოება აქტუალურია როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალისთვის.

დავინტერესდით, დროის ფაქტორის გარდა პროფესიული განვითარების კიდევ რა ხელისშემშლელი გარემოება დაფიქსირდა. კვლევის შედეგების მიხედვით მოტივაციის ნაკლებობა (12 რესპოდენტი) და შეზღუდული რესურსები (15 რესპოდენტი) იკვეთება აგრეთვე როგორც პროფესიული განვითარების პროცესის შემაფერხებელი გარემოებები. რესპონდენტთა მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ პროფესიული განვითარების არსებული ფორმები ყოველთვის არ არის მორგებული მათ რეალურ საჭიროებებს, რაც ამცირებს მონაწილეობის მოტივაციას.

კვლევა აგრეთვე ითვალისწინებდა პროფესიული მხარდაჭერის სამომავლო საჭიროებების გამოეკვეთას. გამოიკვეთა მოთხოვნა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, სწავლების თანამედროვე მეთოდების და ციფრული კომპეტენციების განვითარების მიმართულებით

მიღებული მონაცემების მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობა აქტიურად არის ჩართული პროფესიული განვითარების სხვადასხვა ფორმაში და აღნიშნავს, რომ მსგავსი აქტივობები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათ სასწავლო პრაქტიკას. განსაკუთრებით დადებითად ფასდება პროფესიული

განვითარების გავლენა სწავლების მეთოდების განახლებაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებაზე. კვლევის შედეგები ასევე მიუთითებს, რომ პროფესიული განვითარების შემდეგ იზრდება სტუდენტთა ჩართულობა სალექციო პროცესში, რაც სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს.

დასკვნა

აღნიშნული შედეგების საფუძველზე, დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება წარმოადგენს სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ეფექტიან მექანიზმს, თუმცა მისი სრული პოტენციალის რეალიზებისთვის აუცილებელია ინსტიტუციური მხარდაჭერის კიდევ უფრო გაძლიერება და არსებული სირთულეების გათვალისწინება. კვლევა ცხადყოფს, რომ პროფესიული განვითარების პროცესს, მიუხედავად მისი პოზიტიური გავლენისა სწავლების ხარისხზე, თან ახლავს კონკრეტული სირთულეები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია პროფესიული განვითარების სისტემის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული პროცესის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ზრდის პროფესიული განვითარების თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელიც სისტემურია და ორიენტირებული როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ განვითარებაზე.

სამომავლოდ, მიზანშეწონილია პროფესიული განვითარების პროცესის კიდევ უფრო გაღრმავება და კვლევითი მიდგომების გაფართოება. კერძოდ, რეკომენდებულია პროფესიული განვითარების ეფექტიანობის შეფასება არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის შეფასებების საფუძველზე, არამედ სტუდენტთა სასწავლო შედეგებისა და აკადემიური მოსწრების ინდიკატორების გათვალისწინებით. ამასთანავე, სასურველია პროფესიული განვითარების სხვადასხვა ფორმის შედარებითი ანალიზი, რაც შესაძლებელს გახდის დადგინდეს, თუ რომელი აქტივობები ახდენს ყველაზე ძლიერ გავლენას სწავლების ხარისხზე.

შემდგომი კვლევები ასევე შეიძლება ფოკუსირდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსხვავებებზე, რაც ხელს შეუწყობს უფრო ინდივიდუალური და მიზნობრივი პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავებას. აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული კვლევები მნიშვნელოვნად გააძლიერებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

ლიტერატურა:

1. **Cohen, L., Manion, L., Morrison, K. (2017).**
Research Methods in Education. London: Routledge.
2. **Darling-Hammond, L., Hyler, M. E., Gardner, M. (2017).**
Effective Teacher Professional Development. Palo Alto: Learning Policy Institute.
3. **Guskey, T. R. (2002).**
Professional development and teacher change. „Teachers and Teaching: Theory and Practice“, 8(3): 381–391.
4. **Knowles, M. S. (1984).**
The Adult Learner: A Neglected Species. Houston: Gulf Publishing.
5. **OECD. (2019).**
Innovating Education and Educating for Innovation. Paris: OECD Publishing.
6. **UNESCO. (2021).**
Reimagining Our Futures Together: A New Social Contract for Education. Paris: UNESCO.

The Role of Continuous Professional Development of Academic Staff in Improving Teaching Quality: The Case of Telavi State University

Tatulishvili Salome
LEPL Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

The purpose of the present study is to assess the impact of professional development of academic and invited staff on teaching quality in the context of higher education. The research was conducted based on the case of Iakob Gogebashvili Telavi State University and is grounded in a quantitative research approach. Primary data were collected using a pre-designed, structured questionnaire administered through the university's electronic platform (ea.tesau.edu.ge).

The sample consisted of 81 respondents, including both academic and invited staff members. At the time of the study, the university employed 145 staff members; therefore, the sampling procedure covered a significant proportion of the total population, which ensured the reliability of the obtained results and allowed for their generalization at the institutional level. Data analysis was carried out using the frequency analysis method.

The findings of the study indicate that the majority of academic and invited staff are actively involved in various professional development activities and perceive professional development as a significant factor in improving teaching quality. In particular, the positive impact of professional development on teaching practices and increased student engagement was highly emphasized. At the same time, the study identified several challenges in the professional development process, with lack of time, decreased motivation, and limited resources being the most frequently reported barriers.

Based on the results of the study, it can be concluded that professional development represents an effective mechanism for enhancing teaching quality; however, to fully realize its potential, further strengthening of institutional support is required.